# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 90
წელიწადი მეორე
1913
ხუთშაბათი, 27 ივნისი.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И“.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე **1913** **იმერეთი**

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
**განცხადების ფასი**: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“ В. М. Челидзе.**
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



ქუთაისი.

პაიზზე დამყარებული ამხანაგობა

**კირაკოზოვი & ზ. გ. ოგანოვი.**

გაზაფხულისა.

**და ზაფხულის სეზონი**

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოლი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ქიურონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.



შინაგან სნეულებათა **ექიმი ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. სად. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ექიმი ვ. ი. ფეშინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**ექიმი ა. მ. ას თიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**ექიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვისსახლი.

კბილის **ექიმი ანა ბუტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით

**ექიმი ი. ჩარექოვი**
ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.**
გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

**იყიდება**
ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.
მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

გამოცდილი მოანგარიშე
**დაეძებს**
მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში.
იკითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.



ქვრივი ეკატერინე პეტრეს ასული ეზიკოვისა, და მიცვალებულისა სალომე სიმონის ასული საფაროვისა შვილებით, ძმისწულები სიმონ, ბონავენტურა, ლევან, მარია. ელენე, თამარა და სხვანი, ეკატერინე პეტრეს ასული მურვანოვისა შვილებით, რძალი ფილომონე ივანეს ასული ეზიკოვისა და სიძე დავით იოსების ძე შამირანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარის

**რაფაელ სიმონის ძე ეზიკოვის**

გადაცვალებას. ცხედრის გამოსვენება აბდუშელიშვილის სახლიდან აბორინის შესახვევში ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში და იქიდან საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია პარასკევს 28 ივნისს, დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 1/2 საათზე.



ქვრივი ფილიმონე ივანეს ასული, მასწავლებელი სიმონ, ექიმი ბონავენტურა, ლევან, ელენე, თამარ, ნინო, კლარა, აგნესა და ირაიდა ვასილის ასული ეზიკოვები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარელი მაზლისა და უკანასკნელნი ბიძისა

**რაფაელ სიმონის ძე ეზიკოვისას.**

გამოსვენება მიცვალებულისა აბდუშელიშვილის სახლიდან ობორნის შესახვევში ქუთაისის რომის კათოლიკეთა ეკლესიაში და იქიდან საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია პარასკევს 28 ივლის, დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 1/2 საათზე.



მარიამ ალოიზის ასული და დავით იოსების ძე შამირანოვები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი და დაუვიწყარი ბიძის

**რაფაელ სიმონის ძე ეზიკოვის**

გადაცვალებას, გამოსვენება პარასკევს, 28 ამა ივნისს, დილის 9 საათზე. (ობორნის შესახვევი იბდუშელიშვილის სახლი.)



**წყალ-გამა უბანში.**
...ირის ქუჩაზე ღოღობერიძის შენობაში 8 ივნისიდან გაიხსნა და უკვე წარმოებს ქალაქის მეორე ნორმალური

**აფთიაქი.**



**ახალი გამოგონება მეცნიერებაში**
...ადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

**ახალი სითხე ქაკმენის SS**

...ავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო... ...რული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**



**ქალთა პროგიმნაზია**
მარიამ კვინიხიძის ასულისა
...დავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.
მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.


## ლექციიდან ლექტორისადმი
## ანუ ბ-ნ რობაქიძის პოლემიკური „სიდინჯე“.

შემჩნეულია საზოგადოთ, რომ ხშირათ ადამიანი იკუთვნებს და იჩემებს სწორეთ იმას, რაც მას ნამდვილათ აკლია ან სრულიად არ გააჩნია. ბ-მა რობაქიძემ თვის ლექციის და „პასუხის„ დამახასიათებელ თვისებათ „სიდინჯე“ აღიარა, ის „სიდინჯე“, რომელიც ვითომც მის მოპირდაპირეებს აკლიათ.

ვინც დაესწრო ბ-ნ რობაქიძის ლექციას („რუსთველის შემოქმედებას“) გულმოდგინეთ მოისმინა იგი და შემდეგ ჩემი რეცენზია წაიკითხა, მისთვის ბ-ნ რობაქიძის „სიდინჯის“ ჭეშმარიტი ხასიათი დღესავით ნათელია. ეს „სიდინჯე“ ბ-ნ რობაქიძისა გამოიხატა იმაში, რომ მან იკადრა და მიაწერა პროფ. მარს ის ყალბი აზრები „ვეფხის ტყაოსანზე“, რომელიც უკანასკნელს სრულიად არ გამოუთქვამს და შემდეგ, რასაკვირველია, დიდის პათოსით გააქარწყლა ეს ყალბი აზრები.

ვინც არ დასწრებია ბ-ნი რობაქიძის ლექციას და მხოლოდ გულმოდგინეთ დააკვირდება ლექტორის და ჩემ შორის ამტყდარ პოლემიკას, მისთვისაც ბ-ნ რობაქიძის „სიდინჯის“ ჭეშმარიტ ხასიათის გაცნობა აწ, მადლობა ღმერთს, უზრუნველყოფილია, რაკი გვაქვს უკვე ბეჭდვითათ დალაგებული აზრები ბ-ნი ლექტორისა („პასუხათ ნ. ჯორჯიკიას“, „იმერ. № 84), რომელნიც არა ნაკლებათ იძლევიან ბ-ნი რობაქიძის პოლემიკური „სიდინჯის“ მაგალითებს.

როგორც თავის ლექციაში ბ-ნმა რობაქიძემ დაამახინჯა პროფ. მარის აზრები, ისე თავის „პასუხში“ ის ამახინჯებს ჩემს აზრებს. მაგრამ მისი ლექცია მხოლოდ ზეპირი იყო, ამიტომაც სითამამე ეძლევა გაეცხადოს: არა, მე მარის აზრები არ დამიმახინჯებიაო,—ხოლო რაღა უნდა უყოს ბ-მა რობაქიძემ თვის „პასუხს“, რომელიც ბეჭდვითია, და ამგვარათ საქვეყნოთ გაცხადებული, ყველასთვის დასამოწმებელი?! ამ მხრით მე ჩაყენებული ვარ ბევრათ უკეთესს პირობებში, ვიდრე პროფ. მარი, რომელსაც ვიცავდი ჩემს რეცენზიაში. მაშ, ბ-ნო მკითხველო, აიღე ხელში ჩემი რეცენზია და ბ-ნი ლექტორის „პასუხი“, მისდიე კვალდაკვალ ჩემს აქ მოყვანილ მსჯელობას, შეადარე ის, რასაც ვსწერ მე და რასაც მსწერს მე ბ-ნი რობაქიძე: მოწმეები, ბრალმდებელი და დამცველი—ყველა შენს წინაშეა, - ამ პირობებში გასამართლება მოპირდაპირეთა ყოვლად ადვილია. მე კი ვეცდები ჩემი ბრალდება პუნკტუალურათ აღვნუსხო.

1. მე ვამბობდი რეცენზიაში: „…ბ-ნმა რობაქიძემ არ იკმარა თავის საკვლევათ დარგი წინდაწინვე დასახულ ესტეტიურ საზღვრებში, გადასცილდა ამ თვის კომპენტენციის საზღვრებს, თვისი ესტეტიური ცალმხრივობა პრინციპათ აღიარა და პირდაპირ გაილაშქრა მეცნიერული შესწავლის მრავალმხრივობის წინააღმდეგ“. ვთხოვ მკითხველს მიაქციოს ყურადღება სიტყვებს: „ესთეტიური ცალმხრივობა პრინციპათ აღიარა“, —„გაილაშქრა მეცნიერულ შესწავლის მრავალმხრივობის წინააღმდეგ“.

ბ-ნმა რობაქიძემ იმდენი იმარჯვა, რომ ამ წინადადებისგან გამოიყვანა ორი დებულება,—რომელიც მე მომაწერა: ა) პირველი—თითქოს ესტეტიკა მეცნიერებათ არ მიმაჩნდეს, პირიქით მათ (ესტეტიკას და მეცნიერებას) ერთმანეთს ვუპირისპირებდე და ბ) მეორე –ვწამებდე ბ-ნ რობაქიძეს მეცნიერების წინააღმდეგ გალაშქრებას. რასაკვირველია, თვით ბ-ნ რობაქიძეს მშვენიერათ ესმის, რომ არც ერთი ამ აზრთაგანი არ გამომითქვამს.

ა) მე ვუპირისპირებ ერთმანეთს არა ესტეტიკას და მეცნიერებას, არამედ: ესტეტიურ ცალმხრივობას მეცნიერული შესწავლისას და მრავალმხრივობას ამავე მეცნიერული შესწავლისას. ჩემი აზრი ყოველმა კაცმა, ასე უნდა გაიგოს და არცა აქვს გზა სხვანაირათ გაიგოს: მხატვრული ნაწარმოების (ჩვენს შემთხვევაში: „ვეფხის ტყაოსნის“) მრავალმხრივის მეცნიერულ შესწავლათ მე მიმაჩნია შესწავლა ნაწარმოებისა არა მარტო ერთი დარგის თვალსაზრისით, როგორც მაგ. ესტეტიკისა, არამედ მეცნიერების მრავალ სხვადასხვა დარგის თვალსაზრისით, როგორც: კულტურული ისტორიისა, შედარებით-ლიტერატურული ისტორიისა, ლინგვისტიურისა და სხვათა, მათ შორის ესთეტიური თვალსაზრისითაც (იხ. Геннекенъ, опытъ построенія научной критики). ბ-მა რობაქიძემ ალბათ იმავე თვის „დინჯი“ დიპლომატიური მოსაზრებით ყურადღება არ მიაქცია ჩემი ტექსტის სიტყვებს: „ცალმხრივი“ და „მრავალმხრივი“, რომელთაც—და მხოლოდ მათ!- ვუპირისპირებ მე ერთმანეთს, და დააჯახა ერთმანეთს ჩემი სახელით შიშველი მცნებანი: ესთეტიკა და მეცნიერება! ნეტავ, რამ გაابედვინა ჩემს ოპონენტს ასეთი სახიფათო ოპერაცია ნუთუ ის არ გრძნობს, რომ საქმე აქვს ისეთ მოპირდაპირესთან, რომელსაც ესმის, რასაც სწერს და ნებას არ მისცემს არავის გადაასხვაფერებიოს, დაამახინჯებიოს აზრი მის მიერ დაწერილისა.

ბ) მე ვწამებდი ბ-ნ რობაქიძეს არა მეცნიერების წინააღმდეგ გალაშქრებას, არამედ მეცნიერული მრავალმხრივობის წინააღმდეგ გალაშქრებას (ნახე ჩემი ფრაზა: „გაილაშქრა მეცნიერული შესწავლის მრავალმხრივობის წინააღმდეგ“). რაქვია, ბ-ნო ლექტორო, მოპირდაპირის აზრის ასეთ დამახინჯებას.

მე ვჩქარობ გადავიდე ჩემი ბრალდების და მასთანავე ჩვენი პოლემიკის უმთავრეს პუნკტზე. აქ მკითხველს მოელის კიდევ უფრო უკეთესი მარგალიტები ბ-ნ რობაქიძის პოლემიკური „სიდინჯისა“.

2. მე ვამბობდი: „ბ-მა რობაქიძემ პირდაპირ განაცხადა: მარს ვერ მოეთხოვება ესთეტიური განცდა მხატვრული ნაწარმოებისაო“. ეს დებულება ლექტორისა კარგათ ახსოვთ ბ-ნ რობაქიძის ლექციის მსმენელთ. ახლა ბ-ნი ლექტორი უარს ამბობს ამ წინადადებაზე: ასე არ მითქვამსო, მე ვთქვი მხოლოდ, რომ მარს ვერ მოეთხოვება ესთეტიკოსური განმარტება მხატვრული ნაწარმოებისაო. მარის ესთეტობა მე არ უარმიყვია, მხოლოდ უარვყავ მისი ესთეტიკოსობაო. ნ. ჯორჯიკიას კი თვით არ ცოდნია განსხვავება ამ ორ მცნებათა (ესთეტი და ესთეტიკოსი) შო-

# დღიური

იშტიბ-კაჩანის ლიანდაგზე ბულგარელებსა და სერბიელებს შორის გამწვავებული ბრძოლაა.

— სერბიელებმა სიმაგრე რაიჩანი აიღეს.

— ბულგარლები უკან იხევენ, სერბიელებმა ბულგარეთის საზღვრები გადალახეს.

— ორი დღის ბრძოლის შემდეგ, უსკიუბში სერბიელებმა გაიმარჯვეს. ჯარი სოფიისკენ მიდის.

— ბრძოლაში დაჭრილები ამბობენ,—ვიბრძოდით სარდლებს მოკლებულიო.

— საბერძნეთის ჯარმა ნიგრიტას მახლობლათ ბულგარლები დაამარცხეს.

— ბულგარეთმა სერბიამა და საბერძნეთმა რუსეთს აცნობეს, რომ ამ პირობებში შეუძლებელია საომარი მოქმედება შევაჩეროთო.

— რადკო დმიტრიევის ჯარი სერბიელებთან ბრძოლაში დამარცხდა.

— იმ ბულგართა ინტერესების დაცვა, რომელნიც სერბიასა და მთაწმავეთში ცხოვრობენ, რუსეთს დაევალა.

— იშტიბში ხოლერა გაჩნდა.

— სერბია-ბულგარეთის შეტაკების დღიდან, სერბიელებმა 15 ათასი ხოლო ბულგარლებმა 20—25 ათასი და ბერძნებმა 10 ათასი ჯარის კაცი დაკარგეს.

— ალექსანდრიაში სომხებმა კრება გამართეს და დაადგინეს ბერლინის ტრაკტატზე ხელმოწერილ სახელმწიფოებს მიმართონ თხოვნით, რომ მათ აიძულონ ოსმალეთი და სომხეთში რეფორმები განახორციელოს.

— ბუქარესტში 20 ივნისსს მთელ ღამეს მანიფესტაციები ხდებოდა. ავსტრიის საელჩოს პოლიციელები იცავენ.

— რუმინიაში რკინის გზის სადგურები ჯარს აქვს დაკავებული.

— უჩანში ჩინეთის ჯარი ჯამაგირის მიუღებლობის გამო აჯანყდა.

# კეთილი განზრახვა.

თფილისში ბუნებისმეტყველთა და აქიმთა კრების წევრთა უმრავლესობა ფრიად დაინტერესებულა ქართული საქმეებით, ქართველთა ზნეჩვეულებით და ყველაფრით, რაც ქართველთა ყოფაცხოვრებას შეეხება. თფილისში მათ დაუთვალიერებიათ ქართული დაწესებულებანი, დასწრებიან ქართველთა მიერ მათთვის სპეციალურათ გამართულს საღამოს და სხვ. ამ ახლო ხანში ბუნებისმეტყველთა და აქიმთა ექსკურსია სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან ერთად ჭიათურას მიემგზავრება შავიქვის წარმოების საქმეთა გასაცნობათ. მოივლიან სხვა კუთხესაც ჩვენი ქვეყნისას.

ყოველი ასეთი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში ჩვენს თავმოყვარეობას აღვიძებს, მცირედ სიამაყის გრძნობასაც აგვიძრავს. ჩვენი ბრწყინვალე წარსულით, ბუნებრივი სიმდიდრე-სილამაზით მზათა ვართ სასტუმროს კარები მოვაფინოთ და უცხო ძვირფას სტუმრებს ჩვეული გულუხვობით შევხვდეთ. მართლაც და დროა გაიგოს უცხოთა მოწინავე საზოგადოებამ, კაცობრიობის შეგნებულმა ნაწილმა, რომ ქართველები დათვის ტყავში არ არიან გახვეულნი და არც უდანაშაულო სხვერპლის გაწიწკნას ლამობენ, რომ ქართველებსაც აქვს თავის ისტორია, ისტორია ბრწყინვალე და რომ ჩვენც გვაცხია ცოტა რამ ევროპის ცივილიზაციისა... თვარა, ღმერთმა უწყის, რა აზრისა არიან ჩვენზე უცხო ერთა ზოგიერთი შეგნებული წარმომადგენლებიც კი.

როდესაც სათათფიროს თვალსაჩინო დეპუტატი შინგარევი საქართველოში მოგზაურობდა და ქუთაისს ეწვია, მის პატივსაცემლათ გამართულ ვახშამზე, მან სხვათაშორის ისიც სთქვა, რომ ქართველი ერის შესახებ მე სულ სხვა აზრისა ვიყავი და რა მეგონა, თუ ქართველები ასეთი კეთილშობილობით სავსე და შეგნებული ერი იქნებოდაო...

თუ კი სხვები მუდამ მზათ არიან თავის თავი უადგილო ადგილასაც კი გამოაჩხირონ და არა მკითხე მოამბესავით თავის ყოფაცხოვრება თვითვე შეამკონ „გაბერილი" ლათაიებით, ჩვენ რაა რომ გვამუნჯებს და გვაყრუებს.

არ ვამბობ, რომ ჩვენც უადგილოთ, შეუსაბამოთ, უდროოვოთ ყველას ყურები გამოუჭედოთ თავის ქებით... ვინც ჩვენს სამშობლოსა და მიწა-წყალს იცნობს, ვისაც ჩვენი წარსული შეუსწავლია, იგი დაგვეთანხმება, რომ ამგვარი რამ ჩვენთვის საჭიროც არაა, ერთი სიტყვით—გადაჭარბებული ნურაფერი ნუ გვინდა, არც გვჭირია, მაგრამ იმას კი, რაცა გვაქვს, რაც ჩვენს საკუთრებას შეადგენს, რაც სხვებისთვის საამაყო იქნებოდა, რათა ვმალავთ, რაზე არ ვაცნობთ სხვას?

ნუთუ ყოველმხრით შევიწროებულ ქართველობას ისლა აკლია, რომ მისი კეთილშობილობის აღსარება საჭირო გახდა, აქაც ვისმე ეჭვი ებადება. დროა დარწმუნდეს უცხოელთა მოწინავე ნაწილი, კაცობრიობის ღირსეული წარმომადგენლები, რომ შოთა-რუსთველის სამშობლოს, ძალით სიკვდილი ერთი უდიდესი და უსასტიკესი ცოდვათაგანი იქნებოდა, რომელიც კი ძალმომრეობას ოდესმე ჩაუდენია... „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, ათავისუფლეთ მონები"-ო—სთქვა შოთამ: საქართველოს შეუძლია შორს წავიდეს კულტურული გზით, არც ერთ კულტურულ ერს არ ჩამორჩეს, ხოლო გზა ამ ნიჭისა ეკლიანი და გაუვალია...

მეცნიერთ აღნიშნულ განზრახვას კეთილათ დაგვირგვინებას ვუსურვებთ, მათ სურვილს დიდის აღტაცებით ვეგებებით...

იქნება აქ არა გვითხრან-რა, ვერ გვითხრან—არცაა საჭირო, მაგრამ დე, იქ, თავის ქვეყანაში ჩასულებმა, შემთხვევის დროს, თუ ღირსი ვიქმნეთ, უღირსათ არ მოგვიხსენიონ და ქართველებზე მცდარი აზრების მატარებელ თანამემამულეთ თავის შთაბეჭდილება სისწორით გადასცენ...

**იმერი.**

# ახალი ამბავი

**აბრეშუმის პარკის მაზანდა.** ქუთაისსა და ხონში ფუთი პარკი 18 მანეთად იყიდება; სამტრედიაში 17 მან. და 4 აბაზ.; ლანჩხუთში—17—10 შ.

გასულ წლებთან შედარებით წელს უფრო მცირე მოსავალია პარკისა. ამას მიაწერენ, რომ შედარებით ფასიც ზედმეტია წელს.

✦ კავკასიის საბრეშუმო სადგურის რწმუნებულმა ი. ქუთათელაძემ ნუხიდან პარკის ფასის შესახებ შემდეგი ცნობა მიიღო. პირველ შესვლისას ფუთი იყიდებოდა 13 მან. 10 შ.; მალე აიწია 14—14-10 შაურამდი და ამ ჟამათ კი 18—19 მანეთად იყიდებაო.

✦ გასულ კვირას ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა რიგის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ჰოლდენბენტერი. მიწის საუწყებო სამინისტროსგან მას დავალებული აქვს დაწვრილებით გაეცნოს კავკასიაში მეაბრეშუმეობის საქმეს. ამ დღეებში ი. ქუთათელაძესთან ერთად ბ. ჰოლდენბენტერმა ქუთაისის გუბერნიის რამდენიმე საბრეშუმო რაიონი დაათვალიერა.

✦ მარსელიდან (საფრანგეთი) მიღებული ცნობებით პარკის ფასი დღითიდღე მატულობსო.

✦ აბასთუმნიდან დეპეშით გვწერენ: ,,ამინდი მშვენიერია... სახლები ბევრი, ფასები ზომიერი''. ,,საზოგადოების კომიტეტი.

✦ ილარიონ თარგამაძეს გუბერნატორმა ნება არ დართო ქუთაისში გამოეცა ყოველდღიური ქართული გაზეთი. გუბერნატორმა მოსთხოვა მას განმარტება განათლებითი ცენზის შესახებ.

✦ ბაქოში თფილისის სასამართლოს პალატამ კოვირიაკის სოც. დემ. პარტიის წევრობისთვის 4 წლით კატორგა გადაუწყვიტა.

✦ თფილისში ბუნებისმეტყველთა და და აქიმთა კრება დასრულდა. კრებაზე მონაწილეები საექსკურსიოთ ზოგი ბათომს წავიდა, ზოგი ერევანს და ზოგიც ალექსანდროპოლს. 60 მონაწილე 23 ივნისანს წავიდა.

✦ თფილისში გოლოვინის პროსპექტზე მომხდარი უბედურობის გ... ბა პროკურორის ამხანაგს ბ-ნ ... შვილს მიენდო. როგორც თფ... გაზეთები იუწყებიან ხალხი მეტა... [illegible] ამ უბედურობის. თფ... ჰრეს საყვედურს უცხადებს თფ. ქის გამგეობას.

✦ ქიათურაში ... მოსამსა... კრებამ 15 კაცი და ქალი აირჩია... როში, რომელმაც ბუნებისმეტყველ... აქიმთა ექსკურსიის პატივისცემაზ... და იზრუნოს და შეიმუშაოს მოქმ... პლანი. ბიუროს თავჯდომარეთ აქ... ჯაფარიძე აირჩიეს.

✦ როდესაც გოლოვინის პროს... სახლი ჩამონგრეულა და ისეთი უბე... ბა დატრიალებულა მეფის მოადგი... ნაშემწენი შატილოვი და ვატაცი ... გამჩდარან, მხოლოდ ქალაქის თავ... ხატისოვი, გამგეობის ორი წევრის... ხლებით საათნახევარს შემდეგ გამ... ბულა საავათმყოფოში უბედ... სხვერპლთა სანახავათ.

✦ თფილისის აზნაურთა ერთ... გადაუწყვეტია თფილისის გუბერნ... ვად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე ... აღძრან, რომ ავიატორ ქებურიას ... რიალური დახმარება მიეცეს რიგია... ტორის შესაძენათ.

✦ სამშაბათს, 25 ივნისს დრამატ... საზოგადოების კრებაზე გამგეობის ... ბათ აირჩიეს: ი: ჩიქოვანი, ა. კრი... ი. პურადაშვილი, ჯ. ჯორჯიკია, ... ხიძე, მ. ლალიძე და ს. კილაძე. კან... ტებათ: ბ-ნი ჩიმაკაძე, მ. ქორქაშვი... გ. გიგინეიშვილი. სარევიზიო კ... ის წევრებათ აირჩიეს: დ. ავალიან... ტყეშელაშვილი და ს. ქვარიანი ... ღამის 1 საათზე დაიშალა.

✦ თფილისში გამოვიდა და ი... წერა-კითხვის საზოგადოების მაღა... ახალი სამეცნიერო — სალიტერა... კრებული ,,გვირგვინი'' შემდეგი ... არსით: შ, ,,რუსთველი'', გრ. ... ქიძისა, ,,სუმერული და ქართული'' ... წერეთლისა, ,,ოიდიპოს მეფე'', ნათარგმნი პ. ქავთარაძისა, ,,მეფე... სანი'' ა. შანშიაშვილისა, ,,... ს. ფირცხალავასი და ,,გლოვის ... მისივე. წიგნის ფასი 1 მანეთია.

---

რის, ამიტომ აურევია ისინი ერთმანეთში და იქ, სადაც მე ვთქვი „ესთეტიკოსი" იქ მან „ესთეტი" გაიგონაო. ნამდვილათ კი ესთეტი განმცოდელია მშვენიერებისა, ხოლო ესთეტიკოსი—მშვენიერების თეორეტიკოსიო და სხვადასხვა.

დავეთანხმები ერთის წუთით ბ-ნ რობაქიძეს, დავუჯერებ მას, რომ მან იხმარა არა სიტყვები: ესთეტიური განცდა, არამედ: ესთეტიკოსური ახსნა, განმარტება. ნეტა, რას დაეხმარება ჩემს ოპონენტს ასეთი შეცვლა თვისი აზრისა?! თურმე, ნუ იტყვით, ის ამ შესწორებით თავისივე ხელით ყელს იჭრის.

მთავარი მუხლი ჩვენი დებულებისა იყო საკითხი: მიაჩნია თუ არა მარს „ვეფხისტყაოსანი" ჰენიალურ და ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებათ, და ბ-ნი რობაქიძეც ამბობს: ეს საკითხი არ შედის სრულიად მარის კომპეტენციის სფეროშიო, რადგან მარი ესთეტიკოსი არ არისო. მაშ, ბატონო ოპონენტო, თქვენ იმ აბსურდამდიც კი მიხვედით, რომ ამტკიცებთ, ვითომც მხატვრულ ნაწარმოების ორიგინალობას და ჰენიალობას ესთეტი ვერ შენიშნავს და საჭიროა ამისთვის უსათუოთ მეცნიერულ ესთეტიკის ცოდნა?! არ მგონია, რომ ასეთ აბსურდს ოდესმე სხვა ალაგას და სხვა გარემოებაში წარმოსთქვამდით! თვარა თქვენ მშვენიერათ იცით, რომ მხატვრული ესთეტიური ჰენიალობის დამოწმება მხატვრულ ნაწარმოებში მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ღრმათ განმცადი ესთეტია, და არ იმას, ვინც თეორეთიკოსი-ესთეტიკოსია. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ბევრია ისეთი თეორეტიკოსი მშვენიერებისა, რომელთაც ნამდვილი ესთეტიური გრძნობა გულში სრულიად არ უღვივისთ, ე. ი. რომელნიც ესთეტები არ არიან და მხოლოდ ესთეტიკოსები. მაშ, თქვენის აზრით ასეთი პირები შესძლებენ უტყუვრად იმა თუ ამ მხატვრული ნაწარმოების ჰენიალობის და არა ჰენიალობის „დამტკიცებას"? არა! თუ ვინმე ღრმათ განმცადი ესტეტია, ეს კმარა, რომ მან შესძლოს შემოქმედების ჰენიალობისა და უნიჭობის გარჩევა, შემოქმედების ორიგინალობის დბ სიყალბის ერთმანეთისგან გამოყოფა. ამისთვის მას არ ესაჭიროება თეორეტიკოსი იყოს. და როცა თქვენ თქვენს ლექციაში ამბობდით: მარმა ხელი უნდა აიღოს „ვეფხის ტყაოსნის" ჰენიალობის ან არა ჰენიალობის საკითხის გადაწყვეტაზე, რადგან ის ესთეტი არ არისო, მაშინ, თუმცა ფაქტიურათ სიმართლეს ღალატობდით, ლოღიკურათ მაინც თქვენი დებულება სწორი იყო: მართლაც, ვინც ესთეტი არ არის, მას არ შეუძლია ჭეშმარიტი საფუძვლიანი შეხედულება იქონიოს ესთეტიური ნაწარმოების ჰენიალობაზე ანუ არა ჰენიალობაზე. ხოლო ახლა, როცა ამ დებულების ფაქტიური სიყალბე დაგიმტკიცეთ (რადგანაც ნამდვილათ მარი ესთეტია და ღრმად განმცადი ესთეტიც), მის ნაცვლათ ახალ დებულებას წამოაყენებთ: მარმა ხელი უნდა აიღოს „ვეფხის ტყაოსნის" ჰენიალობა-ორიგინალობის საკითხის გადაწყვეტაზე, რადგან ის ესთეტიკოსი არ არისო; ამ ახალ დებულებაში თქვენ ფაქტიური სიყალბეც ვერ განაძევეთ, რადგან, თუმცა მარი ესთეტიკოსი არ არის თვისი სპეციალობით, მაინც თეორეტიული ესთეტიკა, რა თქმა უნდა, გაცნობილი აქვს, როგორც ფილოლოგსს,—და მასთანვე დაუშვით კიდევ უფრო საშიშარი სიყალბე, სახელდობრ, ლოღიკური სიყალბე: მხატვრული შემოქმედების ჰენიალობა-უნიჭობის და ორიგინალობა-მიმბაძაობის გამოცნობა შეუძლებლათ მიიჩნიეთ თეორეტიულ ესთეტიკის ცოდნის გარეშე! დაუპირდაპირეთ ამ თქვენს ყალბ დებულებას ის ფაქტი, რომ ქართველ ხალხს „ვეფხის ტყაოსანი" ჰენიალურ და ორიგინალურ-ნაციონალურ ნაწარმოებათ მიაჩნია, თუმცა ქართველ ხალხს (როგორც ყოველ სხვა ხალხს) არსად შეუსწავლია თეორეტიული ესთეტიკა და ის მხოლოდღა ემოციონალურათ განმცადი ესთეტია. მახეში გაბმულს ასე ემართება: რაც უფრო ცთილობს განთავისუფლებას, მით უფრო ებმის მახეში. ბრძნულის კილოთი ამბობთ: „ნ. ჯორჯიკია ურევს ერთიმეორეში ორს ცნებას: ესთეტობას და ესთეტიკოსობას". —მე სრულიად არ მწყენია ასეთი უსაფუძვლო დაფასება ჩემ ცოდნათა თქვენის მხრით. ამიტომაც პირადათ ჩემი თავის დაცვას დროს არც კი მოვანდომებ. მე მხოლოთ მინდა შემდეგი მოგახსენოთ: ცხადია, ეს დაფასება ჩემს ცოდნათა იმაზეა დამყარებული, რომ არ მოვათავსე ჩემს რეცენზიაში განმარტება და განსაზღვრა ერთმანეთისგან ორ მცნებათა: ესთეტი და ესთეტიკოსი. მაგრამ ეს ფაქტი გამოგადგებოდათ თქვენი მსჯელობის სამართლიან საფუძვლათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი დაამტკიცებდით, რომ ჩემს რეცენზიაში საჭირო იყო ეს განმარტება ესთეტობისა; ნამდვილათ კი ასეთი განმარტება მე არ მსჭირდებოდა და ამისთვის მას სრულიათ არ შევხებივარ.

3. თქვენ ბძანეთ: არ მითქვამს პროფ. მარი „ვ ის ტყაოსანს" ჰენიოსურს არ უწოდებს, ვთქვი—მას, როგორც არა ესთეტიკოსს, არ შეუძლია დაამტკიცოს „ვ-ის ტყ-ის" ჰენიოსობაო. ცხადია, აქ საკითხი შეეხება მხატვრულ შემოქმედების—და არ რამე სხვა დარგის—ჰენიალობას,—და აი ახლა ვტყობილობთ ბ-ნ რობაქიძესაგან, რომ შესაძლოა ამ მხატვრულ შემოქმედების ჰენიალობის დამტკიცება! ეს რა მოგივიდათ, ბ-ნო ესთეტიკოსო, ასე რამ აგაჩქარათ, ეს საოცარი აბსურდული აზრი როგორ წამოგცდათ?! მხატვრულ შემოქმედების ჰენიალობის „დამტკიცება" როგორ შეიძლება, ვის უნდა მოეთხოვოს ასეთი შეუძლებელი საქმე?!. განა მხატვრულ ჰენიალობის, ე. ი. მხატვრულ შემოქმედების ემოციონალურ ზე-მოქმედების მაღალ ღირსების დაფასებას შესძლებს თეორეტიული მსჯელობა, ლოღიკური კანონების საშვალებით „დამტკიცება"?! არა ბატონო! თქვენ თვითონ მშვენიერათ მოგეხსენებათ, რომ მხატვრულ შემოქმედების ემოციონალურ ზე-მოქმედების ღირსებას ამოწმებს და აფასებს ადამიანის ესთეტიური განცდა და არ აზროვნული მსჯელობა! აზროვნულ მსჯელობას საქმე არა აქვს მშვენიერებასთან, და ამიტომაცაა, რომ არავინ იცის, რა არის მშვენიერება, ხოლო ყველა განიცდის, რომ არის რაღაც სულის დამატკბობელი, რომელსაც ქვიან მშვენიერება... და რაც უფრო სრულად განიცდის ჩვენი ესთეტიური გრძნობა „სიმშვენიერეს" იმა თუ ამ შემოქმედებისას, მით უფრო მეტათ გენიალურათ მიგვაჩნია ჩვენ ეს შემოქმედება. ამგვარათ, მუდამ მხოლოდ ჩვენი ესთეტიური გრძნობა „ნათლავს" მხატვრულ ნაწარმოებს სახელით „ჰენიალური" და ამ „მონათვლის" გარდა არ არის არავითარი საშვალება „დამტკიცდეს" მხატვრული ნაწარმოების ჰენიალობა! ბ-ნო ლექტორო! ნება მიბოძეთ შემდეგი წინადადება მოგცეთ: აირჩიეთ თქვენი სურვილით ერთი რომელიმე ჰენიალური მხატვრული ნაწარმოები და „დამიმტკიცეთ" ეს მისი ჰენიალობა! მე-კი გპირდებით გიჩვენოთ, რომ ამ თქვენს „დამტკიცებაში" არავითარი ლოღიკური დამტკიცება არ იქნება, არამედ ბოლოს და ბოლოს თავს ამოყოფს იგივე ესთეტიური განცდის უბრალო დაუმტკიცებელი დამოწმება ამ ჰენიალობისა, ე. ი. შინაგან ესთეტიურ მაღალ ღირსებისა. მაგრამ თქვენ რომ მხატვრულ შემოქმეოების ჰენიალობის დატკიცებას ვერ შეიძლებთ, განა ეს თქვენ თავათ არ იცით? ეს უაზრო წინადადება თქვენ, რასაკვირველია, მხოლოთ წარმოგცდათ, რადგან საჭირო იყო თქვენთვის, რომ ის, რაც წინათ თქვით და რის უსაფუძვლობაში ჩავიჭირეთ, გადაგეთქვათ როგორმე სხვანაირათ, ამიტომაც აჩქარდით, „ჰენიალობის მონათვლა" „ჰენიალობის დამტკიცებათ" შეცვალეთ და ამ „დინჯ" ოპერაციის დროს იმაზე არ ფიქრობდით, რომ სასიკვდილო ოპერაციას კიდე უოპერაციობა ჯობია.

ასევე წამოგცდათ თქვენ კიდე ერთი აბსურდული წინადადება: „ესტეტიკოსი თეორეტიკოსია მშვენიერებისო! ნეტა, როცა ამ წინადადებას წერდით, თქვენს გონებრივ ყურს არ გიჭრიდათ?! „მშვენიერების თეორეტიკა"?—ვის შეუძლია ასეთი პარადოკსალური აზრის გამოთქმა გარდა პარადოკსალურ აზროვნების ჩვეულისა?! ესთეტიკა არ გახლავთ, ბ-ნო, „თეორეტიკა მშვენიერებისა" (ეს ორი სიტყვა უბრალო კომბინაციაა სიტყვათა და არ რეალურ შინაარსის მატარებელი ლოღიკური კავშირი),—ესთეტიკა არის მხოლოთ თეორეტიკა მხატვრულ ხელოვნებისა, იმ მხატვრულ ხელოვნებისა, რომელიც ქმნის სხვადასხვა სახით ერთ რამეს, რასაც ჩვენ „მშვენიერებას", „სილამაზეს" ვუწოდებთ (მხოლოთ ვუწოდებთ, რადგან მარტო ვგრძნობთ მას, ხოლო აზრით ვერ ვწვდებით, არ ვიცით, რა არის). მკითხველი ნათლათ ხედავს, თუ „როგორი არეულობა მეფობს" გრ. რობაქიძის აჩქარებულ თავის დაცვაში...

დაგვრჩა განსახილველათ კიდევ ... პუნქტი პოლემიკისა, პუნქტი შექ... იმავ ბ-ნ რობაქიძის „პასუხით". იგივ „არეულობაა", აქაც ივივ პო... კური „სიდინჯე" ბ-ნ რობაქიძისა...

4. ბ-ნი რობაქიძე წერს: „ჩემი ... ლება ასეთია: „ჰენიოსი იღებს (და... დეც უნდა იღბდეს) საუკუნოებში ნა... არაკს (მითს, ლეგენდას, ზღაპარს) მ... იღებს არა როგორც მლექსავი მონა, ... მედ როგორც თავისუფალი შემოქ... იგი ერთი მადლიანი ხაზმოსმით სრ... ცვლის, ან უკეთ რომ ვთქვათ, სრ... გარდაქმნის არაკს" და სხვ. (კურსივ... მია ნ. ჯ.) პროფ. მარის შეხედულებ... თუ ბ-ნ რობაქიძეს დავუჯერეთ, რ... ველი მლექსავ მონათ უნდა გამოყა... ეს არ გახლავსთ მართალი. აი რას ... ბობს მარი, როგორც ეს უწყის ... ბ-მა რობაქიძემ: „სხვა საკითხია, რო... რი ხასიათისა იყო ეს „ლექსითი გა... თქმა", მე ვიტყოდი „გარდაქმნა", ან, ... იგივეა, მგოსნური შემოქმედება შო... რა შემოქონდა მას ახალი?" (კუ... ჩემია. ნ. ჯ.) ამგვარათ მარი არჩევს ... ყვები: „ლექსითი გარდათქმა", რო... ნიც თვით შოთას ეკუთვნიან („ვპოვე ... ლექსათ გარდავთქვი"..) შესწოროს ... ყვათ: „გარდაქმნა" (претвореніе), იგივ „მგოსნური შემოქმედება" არ... და აი ამის შემდეგ გრ. რობაქიძე ... ჟინებს პროფ. მარს: მას „ვ-ის ტყაო... ნი" მიაჩნია უბრალო „გალექსვათ" ... ქმნილისაო და არ „შემოქმედ ენერგი... გარდასაქმნელისაო''. ეს განა აზრის ... მახინჯება არ არის?! არა, ბატონო, ... „უწყებული საკითხის" მარის-მიერ ... ყენება ვერ გაგიგიათ". აკად. მარს ... წამს, რომ შოთა რუსთაველის „საქ... ნები საქმე" შემოქმედებითი გარდაქმნა ... და არ პასსიური უბრალო (სიდან მო... ტანა ეს სიტყვა ბ-მა რობქიძემ?) ... ლექსვა". აკად. მარი მხოლოდ აფრ... ლებს მკვლევართ: ნუ ჩქარობთ გამ... კვიოთ, როგორი ხასიათის იყო ეს „გა... დაქმნაო". იყო ეს „გარდაქმნა" უბრა... ნაწარმოების ჰენიალურ ნაწარმო... თუ ჰენიალურ ნაწარმოებისა ჰენია... ნაწარმოებათვეო. ნუ ჩქარობთ, რა... არ გვაქვს ხელთ ის ნაწარმოები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჟამათ ქუთაისში არიან ჩამოსუ-...ანის საზოგადოების მცხოვრები გლე-...ისინი სჩივიან, რომ უკანონოთ ახ-...ენებენ თავად-აზნაურობის ძველ „ნე-...ბებსაც“ იმ მიწებზე, რომელიც გლე-...აქვთ ნაყიდი.

სოფ. გზვანში (საჩინოს მხარე) ეს ...ხანია ერთნაირი საქონლის ავათ-...ობა არის გავრცელებულიო: საქო-...ენაზე მუწუკები აყრის, რაც თან-...ან მრავლდება, თუ დროზე არ უსა-...ეს ჯერ-რეროზით საშვალებათ, გა-...ებული წინდის ჩხირით მუწუკების და-...ხმარობენო.

## ...რე შენიშვნა ქართულ საკუთარ სახლებზე.

...ოველდღე ახალ-ახალი უბედურება ...ყდება თავზე: დამცირება-დამცირებას ...დევს, შეურაცხყოფა-შეურაცხყოფას; ...ს მთელი ეროვნული გრძნობა მი-...ან იქნეს გასწორებული. როგორც ...ის მოეხსენება ეს დღეს, ქართველ ..., რომელსაც თავისი ისტორიაც და ...ლობაც მოეპოება და რომელიც ...ტიანობის ერთ უდიდეს ბურჯათ და ...ლათ ითვლებოდა, ქონდა თავისი ...თარი სახელები, როგორც მოეპოება ...ები ყოველს ისტორიულ ერს. ეს სა-...ები ითვლებოდა ეროვნულ, ხალხურ ...ებათ. ჩვენი დაბეჩავება იქამდი მი-..., რომ დღეს სწუნობენ ამ სახელებს ...ხლად-შემუშავებული კანონის ძალით, ...რძალავენ მათს ხმარებას. თუ ეს არა, ...ვრივ არ აიხსნება უკანასკნელი გან-...ულება ადგილობრივი სასულიერო ...ფროობისა, რომელიც ავალებს ღვდლებს ...ხლად მონათლულებს უეჭველათ ქრი-...ანული, წმიდანების სახელები უწო-...ნ; ამნაირათ ჩვენი ეროვნული სახე-...ბი: ავთანდილ, ვახტანგ, როსტომ თი-...ან და სხვა ამგვარები გამოკლებულია ...ლენდრო სახელებიდან და ქართვე-...ბა მათ უნდა საუკუნოთ გამოეთხო-.... არის ქვეყნები, სადაც ყველა წმი-...ნებათ ითვლება, ვისაც-კი ოდესმე უც-...ოია, მაგრამ ქართველები ასეთების ...ვს არ ეკუთვნიან: წმიდანობის და-...ნება ჩვენში დიდ ისტორიულ მოვ-...ათ ითვლებოდა და არც ადვილი სა-ქმე იყო. ამიტომაც საუკუნეში მხოლოდ ერთი, ან ორი ასეთი შემთხვევა თუ იქ-ნებოდა: მოვიგონოთ რა ღვაწლისთვის ჩაურიცხავს წმიდანებში ჩვენს ეკლესიას — შუშანიკა, რაჟდენი, დავით და თამარი; მხოლოდ რჩეულ შვილებს ხვდებოდა წი-ლათ ასეთი დიადი ხვედრი. ამიტომაცაა, რომ ბევრი ჩვენი ეროვნული სახელები საკალენდრო სახელების გარეშე დარჩენი-ლა. დღეს-კი ვითამ კანონის ძალით, გვიბ-ძანებენ—ხელი აიღეთ თქვენს სახელებზე და მხოლოდ საკალენდრო სახელები უწოდეთ თქვენს შვილებსო. მცირე და უმნიშვნელოთ ჩანს თითქო ეს სა-ქმე, მაგრამ დიდი რამის მაჩვენებე-ლი და მომასწავებელი კია; ამიტომაც გასაკვირველია—რათ დაუმუწავთ პირი ან სამღვდელოებას და ან ჩვენს ფართო სა-ზოგადოებას. ნუთუ ეს საქმე ღირსი არ არის ჩვენი ყურადღებისა? თუ დუმილის, უთქმელობის ფილოსოფია იმდენათ გამჯ-დარია ძვალსა და რბილში, რომ ყოვე-ლივე სასიცოცხლო მოვლენას მის ჯამში უნდა ვუკრათ თავი? ეს კითხვა იმდენათ მარტივია, რომ არავითარ საშიშროებას არავისთვის არ წარმოადგენს; ამიტომ უდროვო არ იქნება—შედგეს სია ჩვენი ეროვნული სახელებისა, საკალენდრო და არა საკალენდროსი და წარედგინოს სა-დაც ჯერ არს შესაფერისი შუამდგომლო-ბა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ვერა-ვინ ვერ გვიყოფს ამაზე უარს, თუ ჩვენ თვითონ არ მოგვძულებია ჩვენი სახელები, როგორც ძველის მომგონებელნი. კარგი იქნებოდა, რომ დროზე იქნებოდეს ამაზე მსჯელობაც და შუამდგომლობაც.

**სანლასი.**

## სოფლის მასწავლებლის ხმა.

ჩვენი სოფლის მასწავლებელი რო თავი-სი ბედის უმადურია—ეს ძველი ამბავია და დამტკიცება არ სჭირია. მაგრამ, საუ-ბედუროთ, არავის იმდენი წილი არ უძევს, რომ ისინი ბედის მომდურავი არიან, რამ-დენიც თვით მათ. ყოველი ადამიანი რა-მეს ამბობს თავის ბედზე, წინაღდმეგობს საჭიროების დროს, უკეთესი მომავლის-კენ ისწრაფვის, და ეს მყუდრო, უტყვი ანგელოზნი კი კამეჩის ზლაზნით, ქედ-გა-უხრელათ, კმაყოფილნი ეწევიან ჰაპანს. ყოველ ჯგუფს, წრეს აქვს დართული ნე-ბა კრებისა, ადგენენ განაჩენს და უდგე-ნენ თავიანთ მთავრობას დასაკანონებლათ; ასე ხდება გლეხებში, აზნაურობაში, სა-სულიერო წოდებაში, ჩვენ კი, სოფლის მასწავლებლები ამ წყალობას მოკლებული ვართ. მტრათ და უნდობლათ შევჩერები-ვართ ერთიმეორეს, ერთმანეთისა არა გაგვეგება რა, ერთიმეორეს უფრთხის და ესაა მიიზეზი ჩვენი დაკანონებისა და ჩა-მორჩენის. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, მოვიპოვოთ ეს უფლება, რათა მით შეძ-ლება გვქნეს ერთმა მეორეს გულის ნა-დები გავუზიაროთ და საერთო კეთილ-დღეობაზე ვიზრუნოთ.

დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის აგრეთვე ექსკურსიების მოწყობას. ეს ხო მაინც ნება დართულია მთავრობისაგან. მოიყარე ამხანაგობამ თავი, მიეცი პირი-პირს და მიზნის ასრულებას შეუდექი, ისარგებლე შემთხვევით. მაგრამ, თუ ჩვენ მეტ სიფხიზლეს არ გამო-ვიჩენთ და სალათას ძილს თავს არ დავაღწევთ, სხვა ჩვენთვის თავს არ აი-ტკივებს. ამ ორი წლის წინათ გ. ლადო გზვანელმა გახიზრახა მოგზა-ურობა ამხანაგებით ახალი ათონისა-კენ და როცა დანიშნულ დროს სა-ჩხერიდან ქუთაისს სამგზავროთ გამზადე-ბული ჩამოვედი, გაკვირებული დავრჩი: ფული უკან დამიბრუნეს ამ სიტყვებით: „ლადო გზვანელი ბოდიშს იხდის თქვენს წინაშე, ექსკურსია ვერ მოეწყო, მსურ-ველი სამი მასწავლებლის მეტი არ აღ-მოჩნდაო. ეს ერთი ფაქტიც მოწმობს სოფლის მასწავლებელთა დაუდევრობას.

